



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

ემუქრება თუ არა საფრთხე გურიანთა-ვაშნარის ნაქალაქარს

ნუზხარ ასათიანი



რაგანდემი ღლის წინ გახეთ „ალიონს“ გურიის არქეოლოგიური მუზეუმის მართმართი ხელმძღვანელი, პროფესორი **მერაბ ანაბაძე** დაუპაპირდა და გზისკა, გაღაგვირფხინა, თუ რა ხლბრდა გურიანთა-ვაშნარის ნაქალაქარის მიღამოგში, რაღან ტარიტორიის ნაწილი გურიის საინსტრუქტორის ახმედიის წყსით ჰქონდა გაყილული. რაგანდემი ღლის განავლოგაში იგვლვდა ამ თმას:

გურიანთა-ვაშნარის ციხე-ქალაქი მკვლევართა მიერ აღიარებულია ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ძეგლად და V-VII საუკუნეებით თარიღდება. ძველი განთავსებულია მდინარე ნატანებისა და სკურდუმის შესართავთან. ციხე სამი მხრიდან დაცული იყო ფლატე ნაპირიანი მდინარეებით, ხოლო აღმოსავლეთიდან გარს ერტყა გაღავანი და ყოველ ორმოც მეტრზე ჩაშენებული კოშკი. ციხის ტერიტორიაზე დადასტურდა თიხის სამარხი-სარკოფაგებისა და რამდენიმე კორინთული ტიპის სვეტისთაგების არსებობა.

იური სიხარულიძე, პროფესორი: 1947 წლიდან ვიკლევდი ვაშნარის თემას. სამეცნიერო ნაშრომს „პეტრას ციხეს“ გამზადებდი კონფერენციისათვის. მოგესენებათ როგორი უგუნური გადაწყვეტილება მიიღეს მაშინ — ვაშნარის ტერიტორიაზე ჩაის ფაბრიკის აგების შესახებ. ამან დაჩქარა ვაშნარის მიღამოგში არქეოლოგიური გათხრების აუცილებლობა და 1949 წელს პროფესორ გერმანე გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით, აქ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. მე მაშინ ასპირანტი ვიყავი, ამიტომ, როგორც მოხალისე, ჩავერთე ექსპედიციაში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა საფორტიფიკაციო ნაგებობა, ბაზილიკისა და მარტირთუმის (მოწამის საფლავზე აგებული საკულტო ნაგებობა) ნაშთები. იმ დროს ციხეს კარგად შემორჩენილია გაღავანის ნაშთები. 1963 წელს გურიანთას დიდი მეცნიერის, ნიკო ბერძენიშვილის ექსპედიცია ეწვია. მაშინ მე საისტორიო-გეოგრაფიულ რაზმს ვხელმძღვანელობდი. მაშინ ძირითადად ვაშნარის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა. ჩაის ფაბრიკის მშენებლობამ ბუნებრივია ბევრი რამ წაშალა, მაგრამ ჯერ კიდევ იყო

შემორჩენილი გაღავანის ნაშთები. ჩვენ ვაწარმოებდით გურიანთის ციხის მიღამოგში გათხრებს. აღრევეოდალური ხანის ციხის მიღამოგში ძველი ქვის ხანის, ნეოლითის დასახლების ნიშნები დაფიქსირდა. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ამ მხარის ისტორიას.

ვაშნარის ნაქალაქარს სამი წერილი მივუძღვენი თქვენი გაზეთის ფურცლებზე. სმირად დამყავდა სტუდენტები ვაშნარში. საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან ვაშნარის ნაქალაქარს სახელმწიფოსაგან მეტი ყურადღება სჭირდება...

გაზეთი „ალიონი“ არაერთხელ წერდა ვაშნარი ნაქალაქარისა და სხვა ისტორიული ძეგლების შესახებ. ოზურგეთის საზოგადოება მონაწილეობდა ისტორიული მუზეუმის მიერ ორგანიზებულ ვაშნარის ნაქალაქარის გაწმენდითი სამუშაოებში.

2012 წელს გურიის ყოფილი გუბერნატორი, იმჟამად საქართველოს რეპრონაღური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი შამკაძე გურიის არქეოლოგიური მუზეუმის მისამართის, რომ ვაშნარის არქეოლოგიური გათხრების დაავინანსებდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა (არქეოლოგიები არ იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები). ის კი არადა არაფერი მინდა მიმრ საჯარო რემსტრის „შუშის სასახლის“ განსახლას, გურიის არქეოლოგიური მუზეუმის მისამართის რეკონსტრუქციის ახანოვების ნაშთების გათხრებს აწარმოებდნენ, „შუშის სასახლის“ ამრემსტრუქციის არ შუშუშის?!

▶▶▶ გმ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბლი 12+17 28 იანვარი სამშაბათი	წვიმა +8+14 29 იანვარი ოთხშაბათი	მზე, ღრუბლი 11+16 30 იანვარი ხუთშაბათი	წვიმა +6+12 31 იანვარი პარასკევი	წვიმა +1+8 1 თებერვალი შაბათი	მზე, ღრუბლი +0+13 2 თებერვალი კვირა	მზე, ღრუბლი 2+12 3 თებერვალი ორშაბათი
---	-------------------------------------	---	-------------------------------------	----------------------------------	--	--

როცა სოფელს ძალი მართავს

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სოფლის რწმუნებულის თანამდებობაზე ქალების რიცხი მცირეა. მხოლოდ სოფლებს შრომას, ძიმოს, მერიასა და მთისპირს ხელმძღვანელობენ ქალბატონები. მაცვალა დარჩია, მზია სალუქვაძე, ფატკუშე ფუტკარაძე და ქეთევან ჯინჭარაძე თავიანთ სოფლებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ, მამაკაცებზე უფრო გაბეულად აყენებენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების წინაშე სოფლის პრობლემებს და მხარდაჭერასაც პოულობენ.

ამჯერად სოფელ მერიის რწმუნებულზე ფატკუშე ფუტკარაძეზე მინდა მოგითხროთ. ეს ქალბატონი და მისი მეუღლე პროფესიით პედაგოგები არიან. ზემო აჭარაში მუშაობდნენ თავიანთი პროფესიით. 1975 წლიდან სოფ. მერიაში დასახლდნენ და მას შემდეგ აქ ეწევიან ცხოვრების ჭაბანს.

ქალბატონი ფატკუშე ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიურობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისთვის სულერთი არ იყო სოფლის სატკეპარი. მისი აქტიურობით და მეზობელი რეგიონის დახმარებით სოფლის ერთ უბანში ხიდი გაკეთდა. 2005 წელს იგი სოფ. მერიის საკრებულოს დეპუტატად აირჩიეს. შემდეგ იგი „ქართული ოცნების“ წევრი გახდა და უკვე მეორე წელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მერიის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულია. სამი შვილის, 8 შვილიშვილისა და 2 შვილიშვილის ახალგაზრდა ბებია, უნაიანად უძღვება სამსახურს. ეს უნარი შემოღვამაზე აქტიურობაზე „ვიხილეთ, როცა სოფ. მერია ერთ-ერთი საუკეთესოდ წარდგა სახალხო დღესასწაულზე.

— პრობლემები ყველა სოფელს აქვს და ასეთ დიდ სოფელს, სადაც 1125 კომლი ცხოვროს, ბუნებრივია ექნება. როცა სოფლის განვითარების პროექტების განხილვა მიმდინარეობდა, უპირველესად საბავშვო ბაღის პრობლემა დაგინახეთ. დღეს შეიძლება, ამხელა სოფელს საბავშვო ბაღი არ ჰქონდეს? მარტო ხუთწლიანი 32 ბავშვი აღვირცხეთ. გადავწყვიტეთ, სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში მოგვეწყო ბაღი. პროგრამით გათვალისწინებული 35 ათასი არ ეყოფოდა ამ საქმეს, ამიტომ მუნიციპალიტეტის გამგებელს ვთხოვე დახმარება—გვიყვება სოფლის რწმუნებული.

— თქვენ დაიწყეთ საქმე და მე ყველანაირად გვერდში დავიდგებიო, —დაგვაძედა კოტე შარაშენიძემ და მართლაც რამდენიმე დღეში კეთილმოწყობილ საბავშვო ბაღში პირველი ჯგუფი გაიხსნება. თუ ამინდებმა შეგვიწყო ხელი, შენობის ფასადის რემონტსაც მოგასწრებთ.

სოფლის ადმინისტრაცია და ბიბლიოთეკა პირველ



21/01/2014 13:00

სართულზე განთავსებული. მერია ერთ-ერთია იმ რამდენიმე სოფლიდან, რომელმაც ბიბლიოთეკა შეინარჩუნა. აქ სამი ათას სამასზე მეტა წიგნია დაცული.

— კომპიუტერიც შეგვიძინეს და ახლა ბიბლიოთეკების ერთიან ქსელში ვართ ჩართული — გვეუბნება ბიბლიოთეკარი მზევინარ მჭავია.

— მომავალში ამ შენობას მთლიანად საბავშვო ბაღს დაუთმობთ და მინდა ამ შენობის გვერდით ავაგოთ ადმინისტრაციული სახლი, სადაც ჩვენთან ერთად ბიბლიოთეკაც იქნება და სხვა ჩანაფიქრიც გვაქვს — გავკანდლო თავისი ჩანაფიქრი ქალბატონმა ფატკუშემ.

რაც შეეხება ციტრუსების ჩაბარების თემას, სოფ. მერიის შემფუთავი ქარხნიდან (ვლადიმერ ვარშალიძემ) საექსპორტოდ 300 ტონაზე მეტი ციტრუსი გაიტანეს, ერთი მაგდენი მერიელმა სოფ. ნატანებში (დავით სიხარულიძემ) ჩაბარეს, მაგრამ რაც შეეხება ე.წ. „ენესს“, მას შემდეგ რაც ერთ-ერთი ნაღობილეველი ჩამბარებელი 10 დღეზე მეტ ხანს იდგა დატვირთული ციტრუსით ქობულეთის წველების ქარხანასთან, მის თანასოფლელებს ქობულეთში დაბალხარისხიანი ციტრუსის ჩაბარებაზე აღარ უფიქრიათ.

— 2,5 ტონა ციტრუსი ჩავიტანე ნატანებში, მაგრამ იქაც ძალიან მაღალ ხარისხს ითხოვენ, ამიტომ უკან დავაბრუნე — გვითხრა მერიელმა რევაზ აბულაძემ...

სოფ. მერიის ტერიტორიული ორგანო ამჟამად ამზადებს დაზუსტებულ სიას საგაზაფხულო ხვნათვისთვის ვაჭერების მისაღებად.

ეს უნება ოზურგეთის ისტორიის ნაწილია

ქ. ოზურგეთში, იონანე პეტრიწისა და 26 მაისის ქუჩების კვეთაზე დგას ხის ოდა-სახლი, რომელშიც ექვთიმე თაყაიშვილს სახელობის გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალია განთავსებული. აქ არაერთი მნიშვნელოვანი სამუზეუმო ექსპონატია დაცული. შენობას წლებია არ ჩატარებია რემონტი. ამ ცოტა ხნის წინ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა აქ სარემონტო სამუშაოები ჩაატარა. გაამაგრა სახურავი, შეცვალა დაზიანებული ხის ნაწილები და ა.შ. ისინი შენობაში სხვა სამუშაოების ჩატარებასაც აპირებდ-

ნენ, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო მუზეუმის დარბაზში და შენობის წინა ფასადზე სპეციფიკურ სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას აპირებს.

ჩვენ მაღლობას ვუხდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებობას და ბატონ კოტე შარაშენიძეს თანადგომისათვის.

ემპთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომელი. (ღ)

ოზურგეთელი წარმატებული ახალგაზრდა

წუგზარ ასათიანი

სოციალური ქსელი ხშირად იძლევა შესაძლებლობას გაიგო ადამიანებზე მეტი, მათ შორის მათზე, რომელთაც კარგად იცნობდი, მერე ისინი დროთა მსვლელობისა თუ გართულებული ყოფის გამო ხშირად ეფარებოდნენ თვალსაწიერს, თავისი ცხოვრების გზას მიჰყვებოდნენ.

განსაკუთრებით სასიხარულოა, როცა იგებ ახალგაზრდების წარმატებებს. კითხულობ მათ შესახებ და გიხარია, რადგან ჩვენი ქვეყნის უკეთესი მერმისი სწორედ განათლებული, მიზანდასახული, შრომისმოყვარე თაობა უნდა გახდეს.

ერთ-ერთად წარმოვიდგინე ნინო რუსიევილი, სოციალური ქსელიდან მწირი ინფორმაცია მოვიპოვე მის შესახებ. ნინო ამჟამად სწავლობს ავსტრიაში, კარლ ფრანსენის სახელობის უნივერსიტეტში. არის სტიპენდიანტი და წარჩინებული სწავლისთვის 1000 ევროს უხდიან.

დამატებითი ცნობებიც მოვიძიეთ მის შესახებ, ნინოს ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაუმთავრებია 2010 წელს, იმავე წელს ეროვნული გამოცდების წარმატებული ქულებით, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარა. პრეზიდენტის სტიპენდიანტს იქაც სწავლით გამოუჩენია თავი.

როგორც ჩანს შორსგამიზნული გეგმები აქვს ნინოს, რომლის მიღწევაც მხოლოდ



უიღვესი შრომითაა შესაძლებელი და რასაც ეტაპობრივად აღწევს. მისი პატარა, მაგრამ მრავლისმთქმელი ბიოგრაფია თვალსაჩინო დასტურია შემდგომი წარმატებების და კარგი მაგალითია ოზურგეთელი ახალგაზრდებისთვის და არამარტო მათთვის.

ჩემთვის ორმაგად სასიხარულო ის ფაქტი გახდა, როცა ნინოს ოჯახის შესახებ გავიგე. მისი მამა თენგივ რუსიევილი ჩემი ბავშვობისდროინდელი მეგობარია. ბებია ლიხაურელი მყავდა და ბავშვობის დიდი ნაწილი ლიხაურში (ნიაბაურში) მაქვს გატარებული.

წარმატებები უკუსურვით ნინოს ცხოვრების გზაზე.

მინი საზოგადოების სრულფასოვანი ფორები არიან

ქალაქ ოზურგეთში 1992 წლიდან არსებობს „გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია“, ამჟამად შშმ სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელსაც რომან ლომაძე ხელმძღვანელობს. პროექტი ხორციელდება როგორც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით. ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, დღის 10 საათზე სამარშრუტო ტაქსი თითოეულ ბენეფიციარს სახლში აკითხავს და ასოციაციაში მიჰყავს, სადაც იგი 5 საათამდე რჩება. ამ დროის განმავლობაში ასოციაციაში ჩვეულებრივად ტარდება გაკვეთილები. ორგანიზაციაში, პედაგოგებთან ერთად, შეხვედრით ფსიქოლოგსაც და მასაჟისტსაც. ჩვენ გავსაუბრეთ ამ ცენტრის ხელმძღვანელს, რომან ლომაძეს.

— როგორ დაიბადა ამ ორგანიზაციის შექმნის იდეა?

— მე ერთი ძალიან კარგი მეგობარი მყავდა, საკმაოდ განათლებული ადამიანი, თვით ლლონტი. ჩვენ ვიცოდით, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საკუთარი თავის რეალიზაციას ვერ ახდენდნენ და ძირითადად სახლში ისხდნენ. თანაც ეს ის პერიოდი იყო, როცა იქმნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციები, ამიტომ მე და თვითმ გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა ეს ასოციაცია. ეს იდეა 1990 წელს დაიბადა, უბრალოდ, იყო ხელისშემშლელი ფაქტორები და უკვე 1992 წელს ჩვენ დაგვარსეთ ეს ორგანიზაცია. მას შემდეგ საკმაოდ ბევრ არასამთავრობოსთან გვაქვს კავშირი, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა პრობლემებზე.

— აქვს თუ არა ნებისმიერ შშმ პირს საშუალება, გაწვევრიანდეს თქვენს ასოციაციაში?

— ჩვენ გვაქვს ლიმიტი 25 ბავშვი, რომლებსაც აფინანსებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ეს ბავშვები უნდა იყვნენ შშმ პირები, 18 წლამდე და ასევე სოციალურად დაუცველნიც. სოციალური მომსახურების სააგენტოს სპეციალური კომისია ამოწმებს პირს, სოც. მუშაკი მიდის ოჯახში და ამოწმებს მას, აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს. ამის შემდეგ უკვე ეძლევა მას უფლება, იაროს ჩვენს ორგანიზაციაში. თუმცა ჩვენ არ გვინდოდა იმ ადამიანების გაშვება, რომლებიც ჩვენთან უკვე დიდი ხნის მანძილზე თანამშრომლობდნენ, მაგრამ შეუსრულდათ 18 წელი, ამიტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ჩვენმა ორგანიზაციამ, შშმ ბავშვებს ვთხოვეთ, რომ გამოეყო ასეთი ტიპის პირებისთვის თანხა, რათა მათაც შესძლებოდათ ჩვენს ასოციაციაში სწავლის გაგრძელება. საბედნიეროდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დაგვთანხმდა. ეს უნიკალური შემთხვევაა და ჩვენს რეგიონში მოხდა ასეთი რამ, რომ 15 შშმ პირი ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

— როგორც ბავშვები ამბობენ, ამ ორგანიზაციაში საკმაოდ ბევრი რამ ისწავლეს, მოგიყვით სასწავლო პროცესის შესახებ.

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ამ ბავშვებთან მუშაობს ფსიქოლოგი. მისი დახმარებით ახალმოსული ეგუბა სიტუაციას, თანდათან პედაგოგებიც ეცნობიან მას და უკვე ვხვდებით, რა უნარი აქვს მას უფრო განვითარებული: ხატავს, ტერწავს თუ მღერის და შემდეგ ვცდილობთ, დავეხმაროთ ამ უნარის განვითარებაში. არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, მათ დახმარება სჭირდებათ და ჩვენთან სწავლობენ წერა-კითხვას. ასევე გვაყვას ბავშვები, რომლებიც ვერ სკოლაში მიგვყას, შემდეგ ჩვენს ორგანიზაციაში, მათ სკოლის პროგრამის დაძლევაში ვეხმარებით და მეორე დღის გაკვეთილებს ვამზადებინებთ. ასევე ჩვენ ვასწავლით ხელოვნებას, ისტორიას, ინფორმატიკას.

— როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ყოველ ზაფხულს ბენეფიციარები ურეკში მიგყავთ დასასვენებლად.

— როცა ჩვენი ორგანიზაცია შეიქმნა, ჩვენი მიზანი იყო, რომ, პირველ რიგში, გვექონოდა ოფისი, სადაც შევიკრიბებოდით, გამოვიყვანდით შშმ პირებს სახლიდან და მივცემდით მათ საშუალებას, რომ საკუთარი შესაძლებლობები გამოეხსნათ. ასევე მნიშვნელოვანი იყო, გვექონოდა სათანადო ტექნიკა და აღჭურვილობა და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ურეკში გვექონოდა ჩვენი დამოუკიდებელი სარეაბილიტაციო ცენტრი. დღეს ყველა ეს პრობლემა მოგვარებულია, თუმცა, უნდა



აღინიშნოს, რომ ამ ყველაფერში დიდი წვლილი შეიტანა იაბონელმა ხალხმა, სწორედ, იაბონის ელჩის დახმარებით გარემონტდა ჩვენი ოფისი, რომელიც იყო საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში, ჩამოდიოდა წყალი, მხოლოდ 2 ოთახი გვექონდა ჩვენ დაკავებული, დღეს კი მთლიანად შენობა არის გარემონტებული, ხოლო შემდეგ აშენდა ურეკში ახალი სარეაბილიტაციო ცენტრი. თუმცა ჩვენ 20 წლის განმავლობაში მიგვყავდა შშმ პირები ურეკში, სადაც გვექონდა პატარა კოტეჯი, მაგრამ იქ ბევრი პრობლემა იყო. ბავშვები კი ეტაპობრივად მიგვყავს, წელს უკვე ახალ შენობაში დავიხვეწეთ.

— ცნობილია, რომ ხშირად ატარებთ ღონისძიებებს, ეს კი ზარეგებთან არის დაკავშირებული, გეხმარებათ თუ არა ვინმე, თუნდაც ბიზნესის სფეროდან?

— არ შემიძლია არ ვახსენო ბიზნესმენი ბეგი სიორიძე, რომელიც საკმაოდ ხშირად ეხმარება ჩვენს ორგანიზაციას. თავდაპირველად, სანამ ჩვენი ორგანიზაცია გარემონტდებოდა, მან შემოგვთავაზა, რომ ოფისის სახურავს გამოეცვლიდა, რადგან ხედავდა, რა მძიმე მდგომარეობა იყო, თუმცა შემდეგ უკვე გარემონტდა ჩვენი შენობა, ამიტომ იმ თანხით ბავშვებს აღმოუჩინა დახმარება. მას შემდეგ ძალიან ხშირად ვგასაჩუქრებს ბატონი ბეგი, ამ ახალ წელსაც არ დაარღვია ტრადიცია და საჩუქრად როგორც ბენეფიციარები, ასევე პედაგოგებიც. მე ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესმენები ჩართუნი იყვნენ ასეთ საქმეში. თვითონ ღონისძიებებს რაც შეეხება, საკმაოდ ხშირად ვატარებთ, ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული მოძღვრალთა ანსამბლი და რამდენიმე წლის წინ საჯარო სკოლებში მივდიოდით და იქ ვატარებდით კონცერტებს. შემდეგ უკვე სკოლის მოსწავლეები მოდიოდნენ ჩვენთან და ერთობლივ ღონისძიებებს ვატარებდით. ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან შშმ პირებმა და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გაიცნეს ერთმანეთი და დამეგობრდნენ კიდევ. ურთიერთობა და კომუნიკაცია კი აუცილებელია. ასევე ჩვენ აღვნიშნავთ ღონისძიებებით ქალთა დღეს, დედის დღეს, 3 დეკემბერს შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს და ასევე ყოველ წელს ჩვენ ვატარებთ ღონისძიებას ურეკში რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მებრძოლთა საპატივცემულოდ.

— როგორია თქვენი ერთი დღე ამ ორგანიზაციაში?

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ვაკეთებ იმას, რაც მე მოსიამოვნებს. ბედნიერება სწორედ იმას ჩემთვის, რომ მე ამ ბავშვებს ვუყვარვარ, ჩემთან შემოდინა კაბინეტში და მეუბნებიან, რომ შაბათი-კვირა არ უყვართ, რადგან აქ ვერ მოდიან. ბაბუას მესახიან. ვცდილობ, რომ ბავშვები არ იყვნენ შებოკილი, ბავშვს თავისუფლება უნდა მივცეთ. ვცდილობ, რომ ბავშვებს ისეთი გარემო შევუქმნა, რომ მათ უხაროდეთ აქ მოსვლა.

— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— ყოველთვის უნდა ვეძებოთ სიახლეები. ის, რაც გუშინ იყო, დღეს უკვე ძველია. მე მინდა, რომ კიდევ უფრო მეტი ღონისძიება დავგეგმოთ და ჩავატაროთ. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბავშვები არ უნდა გვეყავდნენ გამოკეტილი შენობაში, ისინი უნდა მოძრაობდნენ, იგრძნონ, რომ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან. მნიშვნელოვანია დასაქმება, ჩვენი მიზანი სწორედ ის არის, რომ ამ ბავშვებმა ჩვენთან იმდენი რამე ისწავლონ, რომ შეძლონ მუშაობა. ამიტომ სამომავლო გეგმებში ვითვალისწინებთ ისეთი პროგრამების შემუშავებას, რომ ამ ბავშვებმა შეძლონ დასაქმება.

სატიანა ჭანიშვილი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სტუდენტი

მურმან ღუნდუა ლექსები

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივ ჟურნალ „ჭოროხის“ გასული წლის ნოემბერ-დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ლექსების სამი კრებული ავტორის, გადამგარი პოლკოვნიკის მურმან ღუნდუას ოცზე მეტი ლექსი. ეს მისი პოეზიის უდაოდ დიდი აღიარებაა. ვთავაზობთ ბატონი მურმანის რამდენიმე ლექსს:



არ დაგვადინო არც ერთი დღეცა, და დაგვიბრუნე ჩვენ აფხაზეთი. სული ჩაგებერე ქართლისის მოდგმას, გორგასეულის ცოში ავგზილე, ჩამოგვასხებე ერთურთის ბოდმა, აფხაზეთისთვის გამოგვაფხიზლე.

1999 წ.

ცრემლს ვერ ვიკავებ

ჩემო სამშობლოვ, ცრემლს ვერ ვიკავებ, ასე დაბრედილს დღეს შენ რომ გხედავ, ტარილები სულ გადაშენდნენ, ან ცოტნეები სად არიან ნეტავ?! დღეს შენი წყალუდი კი არ კლებულობს, უფრო ღრმავდება და ფართოვდება, ჩვენ შევლას ვითხოვთ, არავინ გვშველის, ყოფნა არყოფნის წამები ღვება. ხსნა არსაიდან, ვილას მივეწლოთ, ბიჭი ბაზალეთს ვერაც არ ჩანა, ტადრისკენ გზები ჩვენვე ჩავხერგეთ, მიტომ არ არის ღმერთი ჩვენთანა. ეს ყველაფერი შედეგი არის, ზედა ფენებში საღ აზრის გმობის, გაუმართლებელი ქედმაღლობის და ბრეყვული ყოყონინობის.

2008 წ.

სიკვდილის შემდეგ ის ცოცხლობს, ვინც საქმით ღმერთის დარია, ქვეყანას თუ არ ადგები, სიცოცხლეში ხარ მკვდარი.

2001 წ.

ველარ შვიგვლის ჟამთა სიონი

ჩვენს დრომას უნდა ამშვენებდეს მტკვარი, როინი, შავი ზღვის ხედი, ვენახი და კავკასიონი, მაშინ ამ დრომას ველარ შეცვლის ჟამთა სიონი. 2010 წ.

რჩევა

შენ უნდა გახდე ტაძარი შენი სულისა წმინდისა, ეს არის აღთქმა მთავარი და რჩევა ჩვენი უფლისა, მაშინ შენ შექმნი ცხოვრებას ღალსა და საწაღს გულისა. 2013.


ჩემგან ნუ ელი ზავსაო

კაჭკაჭმა უთხრა ყვეასო, საქმეს აკეთებ ავსაო, გადააბიჯე ზღვარსაო, ცხვირში გადენენ ძმარსაო, მერე მოგვეთუნ თავსაო, თავს გაატანენ წყალსაო, ტანს დაუღებენ ნადმსაო, დაგვლეჯენ, ვითარც ზავსაო და გაატანენ ქარსაო, ასე იფიან ვაურსაო, მე სიტყვას ვამბობ ნადლსაო, გთხოვ გაუფრთხილდე თავსაო, ჩემგან ნუ ელი ზავსაო. 2013.

გამოგავაფხიზლე

ააზნაზარე უფალო ზეცა, აგუგუნე მიწის ქვეშეთი,

დათო ჟენტი




ვწუხვართ და უსაშველოდ გვტყვივა გული ჩვენს პატარა თბილ ოჯახს. გურიის რეგიონის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრს ერთი უსაყვარლესი წევრი დათო ჟენტი გამოაკლდა. ძალიან გვიყვარდი, გვიყვარხარ და ყოველთვის ასე იქნება. ძნელია დავიჯეროთ, რომ უდროოდ შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. უფერული იქნება ყოველი დღე უშენოდ. შენთვის ჩვეული სიცოცხლით, იუმორით, გულიანი სიმღერების გარეშე. გაბრდებით, სულ გვემასსოვრები, ყოველ დღე მოგიგონებთ, მარად იცოცხლებ ჩვენს გულში. ყოველთვის მოვალთ შენს საფლავთან, ავინთებთ სანთლებს და უფალს შევთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სპეტაკი სული. ძალიან, ძალიან მოგვენატრები ჩვენო დათუჩა.

ბურიის რეგიონის შოგლუდული მუსაქალაქობის მონა პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი.

„ანგელოზები მებობრებს უსმენენ და მფარველობენ“

იცო, რომ წერილების, მისალოცი ბარათების და ესემესების წერა არასოდეს შემიძლო. არც ტელეფონზე საუბარი მეხერხებოდა, მგონი შენც ასე იყავი, ამიტომაც გავუგეოთ ერთმანეთს ასე კარგად, მაგრამ როდესაც ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდებოდით, იმდენს ვლაპარაკობდით, რომ ვერავინ ახერხებდა ჩვენს გაჩუმებას. არ ჰქონდა მნიშვნელობა, სად ვიყავით და რას ვაკეთებდით, რეპეტიცია იყო, თუ კონცერტი და ჩვენ კულისებში ვიდექით. შეგვეძლო მრავალჯერ განხილულ თემაზე კიდევ ერთხელ გვესაუბრა. არ გვჭირდებოდა თემის მოფიქრება, იგი თავისით მოდიოდა გულიდან.



დიდხანს იწეკი. ჩვენც შენთან ვიყავით, ღამეებს ვათენებდით შენთან ერთად.

ბუთი! (ასე მოგმართავდით) ჩვენ ერთად ყოფნის ყველა დეტალი რომ გავიხსენოთ, რაც ძალიან დიდი ბედნიერებას მანიჭებს, მთელი ცხოვრება არ მეყოფა. ჩვენ სიკვდილზე არასდროს გვისაუბრია, თუმცა მასსოვს, ერთხელ, როცა მარჯვენაგულიან ადამიანებზე ვსაუბრობდით, მითხარი: „აუ, რა კარგი იქნებოდა ადამიანს ორი გული რომ ჰქონდეს, როცა ერთი გაჩერდებოდა, მეორე გააგრძელებდა მუშაობას.“ – ეს სიტყვები თავიდან არ ამბდის, ნეტა მართლა ორი გული გქონოდა.

ახლა ჩვენს ბოლო ზაფხულს ვისხენებ, ურეკს, ახალ წელს, ამ წელსაც ერთად აღვნიშნეთ თენვოს დაბადების დღე. აივანზე ვისხედით ყველა, მე შენს გვერდით, როგორც ყოველთვის, ღვინო ჩემი ხელით დაგაღვინებ, აი მაშინ გადავიღეთ ჩვენი ერთობლივი ფოტო, რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდა. სურათი არც ერთს მოგვეწონა, მაგრამ – იყოს, რაც არის, სამასსოვროდ დაგვრჩებაო – ვთქვით.

მართალი ვითხრა არ მასსოვს სად ვავიცანით ერთმანეთი, ეს მიტომ, რომ დაბადებიდან გიცნობ და არასდროს გამიცნინხარ. მხოლოდ ის მასსოვს, რომ ძალიან მიყვარდი და მუდამ მეყვარები.

არც კი ვიცი, საიდან დავიწყო ჩვენი მეგობრობის გახსენება. ირველი, რაც თავში მიმივიდა და სინარული მომანიჭა, ის ზაფხული იყო, მე და ანი რომ შენს ბალიშებზე ვიქცით. იმ წელს ეტლიდან გადმოვარდი და

ამერიდან მხოლოდ სურათებიდან მომიწევს შენი ნახვა, ვიდეოფილმებიდან გავიგონებ შენს ხმას... და რაც ყველაზე მეტად მტკენს გულს, ვეღარასოდეს ჩავგუსტები ჩემო თბილო.

მშვიდობით დათუ, უშენობა ძალიან გამიჭირდება, მომენატრები უზომოდ, უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

ნათია ხელაძე.

ლაგაზი დედაშვილობა

ციატორი, ქალბატონი ქეთევანი დაამტკიცეს. მოძღვენი წლებში სკოლას საჭირო ოდენობით თიანხები მაშინვე და 1937 წელს არასრულ საშუალო სკოლად გადააკეთეს.

ქალბატონი ქეთევანი 15 წელი ხელმძღვანელობდა სკოლას. შემდეგ ოჯახური მდგომარეობის გამო დირექტორის მოადგილედ გადავიდა სასწავლო-აღმწიფელობით დარგში. მისი ხელმძღვანელობით ეს სკოლა ერთ-ერთი სანიმუშო იყო რაიონში.

იმ დროს სოფელში არათუ უმჯდლეს სასწავლებელ-დამთავრებულს, საშუალო განათლების მქონენი ნაკლებად იყვნენ, მაგრამ ქალბატონი ქეთევანი მათ არასდროს აგრძობინებდა, რომ მათზე მცოდნე და განათლებული იყო. იცავდა ძალიან სადად. დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი ეხმარებოდა ხელმოკლე ოჯახების შვილებს. ხშირად მისი ხელფასიდან აძლევდა მათ თანხას.

ჩვენ სკოლა 1945 წელს დაგამთავრეთ. მან საკუთარი ხარჯით მოაწყო პურმარდილი და თვითონ გაუძღვა მგვიდას. დედაშვილურად დავგლოცა და წარმეტყვები გვისურვა.

ქალბატონი ქეთევანი 1994 წელს გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, 19 წელი გავიდა, არასდროს დავვიწყებდა იგი.

დღის მსგავსად ცხოვრების რთული გზა განვლო ქალბატონმა ლეილაძემ. იგი სკოლაში სწავლისას არავის აგრძობინებდა დირექტორის და მასწავლებლის შვილი რომ იყო. გამოირჩეოდა კარგი სწავლითა და ორგანიზატორული ნიჭით. სკოლის შემდეგ მანაც პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა გეოგრაფიის ფაკულტეტზე. დედამ

სოფელში სახლ-კარი გაყიდა და თბილისში დასახლდა. ლეილაძემ წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და თავისი ბუდი წარმოშობით ჯეომათეულ ასაღაზრდას, ფარმაცევტ რეზო ჩხარტიშვილს დეკავშირამაგრამ მათი ერთად ცხოვრების გზაც ხანმოკლე აღმოჩნდა. გარდაცვალა მეუღლე და დარჩა ორი მცირეწლოვანი შვილი. მას არ შეუწყვეტა მუშაობა 50 წელზე მეტ ხანს მუშაობდა თბილისის 61-ე სკოლაში.

კარგი შვილები აღზარდა ლეილაძე უფროსმა ვაჟმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, მუშაობდა უშიშროების ხაზით. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ქალიშვილმა ლეილაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ლექციებს კითხულობს ამავე ინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტში) აქვე კითხულობს ლექციებს მეუღლე თამარ ღონაძე.

დიდებულ დედა-შვილს, ქალბატონ ქეთევანს და ქალბატონ ლეილას მთავრობის არაერთი ვიდეო ჰქონდათ მიღებული, მაგრამ მთავარი ვიდეო მათი აღზრდილების და საზოგადოების დიდი სიყვარულია.

ბუბული ჩხაიძე,

მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული;

ამირან მაყვალაიშვილი,
სწავლული აგრონომი, ქურნალისტი

იური ჩისლაძის ხსოვნას



მანამდე ვილოცებ შენი უკვდავი სულისთვის, ჩემო კეთილო, ალაღმართალო და სტუმართმოყვარე. შეძლებისდაგვარად გაგავრძელებ შენს სტუმართმასპინძლობის ტრადიციას. შენს მეგობრებს ისევ ისე უხარიათ შენს ოჯახში მოსვლა. ისინი ძალიან ხშირად შენს საფლავზე იკრიბებიან. ყველას ძალიან გვაკლიხარ.

მეც შენთან ერთად მიხაროდა და ყოფნა და ბედნიერება. შენთან ერთად ძალიან ძლიერი და ამაყი ვიყავი. ღმერთს ვევედრები მომცეს ძალა, რომ გავეძლო უშენობას.

ჩემო იური, ოზურგეთის ქუჩებში მოიწყინეს უშენოდ. ჩემს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შენს სახელს დავიწყებ არ უწერია. ღმერთმა ნათელში გამოყოფოს ჩემო ერთგული და საყვარელი მეუღლე – ჩემო იური.

შენი ერთგული მეუღლე, **ნიკო ჩისლაძე-ფურცხვანიძე.**

შენი ერთგული მეუღლე, **ნიკო ჩისლაძე-ფურცხვანიძე.**

მარგალიტა (ლეილა) ბობიკურიძის ბახსენება



პედაგოგიური ნიჭი, უნარი, მოსწავლეების უსაზღვრო სიყვარული და კოლეგებთან ურთიერთობა იყო და იქნება ჩვენთვის ნათელი მაგალითი.

ლეილა მასწავლებელი, თქვენი აღზრდილებისა და კოლეგების ხსოვნაში მუდამ დარჩებით, როგორც ერთგული, თავაზიანი, პროფესიონალი, ქართული მანდილის მატარებელი ქალბატონი.

მადლობა თქვენ იმისათვის, რომ იყავით ჩვენს გვერდით. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს თქვენი ლამაზი სული.

ცხემლისხილის საჯარო სკოლის კოლმეტივი; ოზურგეთის განათლების მუშაკთა პროფკავშირი.

40 დღე გავიდა ჩვენო ლეილა მასწავლებელი, რაც თქვენ წუთისოფელი დატოვეთ და ზეციურ საუფლოში გადაბრძანდით.


გვინდა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, მოგვეფროთ, გამოვხატოთ თქვენადმი პატივისცემა, სითბო და სიყვარული. თქვენი



შვილები ვია, ზაზა, შვილიშვილები ბექა, გვანცა, გიო, ნიკა, ნინო, ეკა, ანა. რძლები მეგი, მაია, ნათია, სიმეები ლადო დანელია, ვასილ ვასაძე, ლევან დანელია ოჯახებით, ბიძაშვილები, დედაშვილები, მზახლები იუწყებიან **ბურამ ვასოს ძე მუჯირის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 28 იანვარს სოფ. ხვარბეთში.



და ნორა მუჯირი, სიძე იური სალუქვაძე, დისშვილები ნინო, დალი, ლია, ლელა, სიმეები მერაბ ხომერიკი, არლი მექვაბიშვილი, თამაზ ვასაძე იუწყებიან **ბიორბი მუჯირის** გარდაცვალებას.



და ლილი მუჯირი, დისშვილები მანანა, ზვიად მახარაძეები, სიძე ბადრი თენიშვილი, რძალი ნონა კვაჭანტირაძე იუწყებიან **ბურამ მუჯირის** გარდაცვალებას.



და დინა მუჯირი, სიძე იოსებ (ქუცა) ქაღიშვილი, დისშვილები გიორგი, სოსო, ვასიკო, რძალი მაკა თოიძე იუწყებიან **ბურამ მუჯირის** გარდაცვალებას.